სამშობლო დიდი მუჭი, არ გაიცვლების სხვაზედა.

# ოდიში

1991
შაბათი
23
ივლისი
№57 (10480)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქისა და რაიონის პრეფექტურაში

## თათბირის დღის წესრიგი:

# ჩაის კრეფაში

## არსებული ჩამორჩენის დაძლევა

გაიმართა ქ. ზუგდიდის და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურისა და სოფლისა და სატყეო მეურნეობის საწარმოო გაერთიანების ერთობლივი თათბირი, რომელიც მიეძღვნა მტკივნეულ საკითხს—ჩაის ფოთლის ნედლეულის დამზადების საქმეში ჩამორჩენას.

სეზონის დაგვიანებით დაწყებასთან ერთად ჩამორჩენა განაპირობა კოლმეურნეობების გამგეობების, აგრონომიული სამსახურების მომთხოვნელობის შესუსტებამ. მაისივნისის დანაკლისი მეტად რთულ და არასასურველ შედეგამდე მიიყვანს იმ საზოგადოებრივ მეურნეობებს, რომლებმაც ხელიდან გაუშვეს ძვირფასი დრო, უგულებელყვეს პლანტაციებში აგროღონისძიებათა კომპლექსის გატარება.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის საქმეში სადღეისოდ არსებულ მდგომარეობაზე თათბირს მოახსენა სოფლისა და სატყეო მეურნეობის საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარემ ს. ლაგვილავამ.

თათბირზე აღინიშნა, რომ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელების ერთმა ნაწილმა სწორად გაიგო ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურის განკარგულება: ჩაის მოსავლის აღების მიმდინარეობის შესახებ. რეზერვების ამოქმედებით მათ მიაღწიეს ხაგრძნობ უპირატესობას მაგრამ სადღეისოდ კვლავ საგანგაშო მდგომარეობაა რაიონში ჩაის ნედლეულის დამზადების საქმეში და იგი რესპუბლიკის საერთო მაჩვენებელს ჩამორჩება 5 პროცენტით.

რაიონის საშუალოზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ უმრავლეს საზოგადოებრივ მეურნეობებს, მათ შორის: ურთის, ჭაქვინჯის, ცაიშის, ჭითაწყარის, ჩხორიის ჭკადუაშის, ტყაიას, ოქტომბრის, კახათის, კოლხიდის, ახალსოფლის კოლმეურნეობებს, აბასთუმნის, დიდინეძის, დარჩელის, მეურნეობებს.

გაუარესდა ხარისხობრივი მაჩვენებელიც. „საქსოფლქიმიის“ სარაიონთაშორისო გაერთიანების მიერ სასუქების არაპროპორციული განაწილება იმსახურებს სამართლიან საყვედურს.

საკრებულოების, გამგეობების მიერ მიღებული ზომები არასაკმარისია, არ არის ორგანიზებული მუშახელის გამოყენების საკითხი, ქალაქის ტერიტორიაზე დისლოცირებული წარმოება ორგანიზაციების მუშახელით ჩაის ფოთლის კრეფაზე დასაქმება და სხვა.

თათბირს მოხსენდა თუ ვინ რა წვლილი შეიტანა ჩაის ნედლეულის დამზადების საქმეში.

შემდეგ სიტყვით გამოდიან საკრებულოთა გამგებლები, სამეურნეო ხელმძღვანელები. ასახელებენ მეჩაიეობაში შექმნილი მდგომარეობის სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებს, რაც მდგომარეობის გამოსწორებას ვერაფერს მატებს. კამათში გამოსულებმა ერთხმად აღუთქვეს თათბირს ივლისის დარჩენილ დღეებში მაქსიმალურად აამაღლონ კრეფის ტემპი, გააუმჯობესონ ხარისხი. ამასთან დააყენეს საკითხი ნედლეულის მრეწველობისათვის შეუფერხებლად ჩაბარების შესახებ.

თათბირის მუშაობაში გამოიკვეთა, რომ საერთო მონდომებამ უნდა გამოასწოროს მეჩაიეობის დარგში არსებული ჩამორჩენა.

თათბირზე სიტყვით გამოვიდნენ ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტი თ. ქორსულიანი და პრეფექტის მოადგილე პ. ჩუხუა.

## დაისახა მიზანმიმართული ღონისძიებანი

ივლისის პირველ ნახევარში ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობის ბრიგადამ, რგოლმა ცალკეულმა ინდივიდებმა უგულებელყვეს პლანტაციების მოვლა. დაბალ დონეზე იყო შრომის ორგანიზაცია. დაგვიანდა პირველი ვეგეტაციის ჩაის მოსავლის აღება. გაუარესდა ნედლეულის ხარისხი. ამის გამო რაიონი ჩაის კრეფაში რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელს ჩამორჩა ხუთი პროცენტით.

ჩაის კრეფაში შექმნილ საგანგაშო მდგომარეობასთან დაკავშირებით ქალაქისა და რაიონის პრეფექტურამ მიიღო განკარგულება, რომელიც გაზეთ „ოდიშის“ მიმდინარე წლის 5 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა.

საკრებულოების სესიები თუ საზოგადოებრივი მეურნეობების საერთო რწმუნებულთა კრებები განიხილავენ პრეფექტურის განკარგულებას. ბევრგან დაისახა მიზანმიმართული ღონისძიებები, რაც წარმატების საწინდარია.

ამ საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრეთ ახალკახათის საკრებულოს გამგებელს ბატონ დ. თუზბაიას. დავათვალიერეთ კოლმეურნეობის პლანტაციები, შევხვდით ბრიგადირებს, მერგოლეებსა და მეჩაიეებს...

როგორც გამგებელმა აღნიშნა, ქალაქისა და რაიონის პრეფექტურის მიერ მიღებული განკარგულება საკრებულომ განიხილა რიგგარეშე სესიაზე. დაისახა ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საკრებულოს სესიამ ბრიგადებზე მიამაგრა დეპუტატები დინარა და მანონ აბსანძეები ვ. თორია, ზ. ნანეიშვილი, რ. შელია, ლ. ჯოლოღონია და გ. სურმავა, რომლებიც ყოველდღე ყურადღებას აქცევენ ჩაის კრეფის მიმდინარეობას. სრულმოსავლიანი პლანტაციის 88 ჰექტარიდან მეორეჯერად აზოტი შეტანილ იქნა 16 ჰექტარზე, სამუშაო კი დამთავრდება ამ დღეებში.

ივლისის პირველ რიცხვებში ადგილი ჰქონდა ჩაის კრეფის აგროწესების დარღვევის ფაქტებს. მეოთხე ბრიგადის (ხელმძღვანელი შ. კვირკველია) მეჩაიე ე. ქოლდანზე გაპიროვნებულ პლანტაციაში გადაუხეშდა ნედლეული, ამიტომ ის ნაკვეთი — მოსავლელად გადაუნაწილდა აღნიშნული ბრიგადის წევრებს დ. რიგვავასა და მ. ჯინჯოლიას.

კოლმეურნეობაში გაძლიერდა ჩაის კრეფის ტემპი, მაგრამ ფაბრიკა ხშირ შემთხვევაში. ვერ ასწრებს ნედლეულის გადამუშავებას, ამიტომ ფერხდება მისი ჩაბარება.

15 ივლისს დღის პირველ ნახევარში კოლმეურნეობის ექვსივე ბრ[illegible]ადაში დ[illegible]ადდა 10 ტონამდე ნედლეული, რომელიც 16 ივლისს ჩაბარდა ფაბრიკას. ცხადია, ჩაის ფოთლის დაგვიანებით ჩაბარება იწვევს მკრეფავთა უკმაყოფილებას, ნედლეულის ხარისხის გაუარესებას. სწორედ ასეთი მიზეზის გამო 16 ივლისს, დღის მეორე ნახევარში არცერთი მკრეფავი არ გამოჩენილა პლანტაციაში.

მეტი ჩაისათვის ღაშქრობაში ყველაზე უკეთეს მაჩვენებლებს აღწევს ორი მექანიზებული ბრიგადა. აღნიშნულ შრომით ქვედანაყოფებს ვალიკო და ნათიკო ფიფიები უდგანან სათავეში. აქვე დანერგილია იჯარა, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო. გაიზარდა მექანიზატორის საზღაური, ამაღლდა შრომისნაყოფიერება, რამაც განაპირობა წარმატება.

პირველმა ბრიგადამ მაისივნისში გეგმიური 39 ტონის ნაცვლად მოკრიფა და მრეწველობას ჩააბარა 48 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. მეორე ბრიგადამ კი ორ თვეში დაამზადა 26 ტონა ნედლეული, რაც ერთი ტონით ჭარბობს ნავარაუდევს.

შრომითი კოლექტივის ჩამორჩენის დასაძლევად ძალ-ღონეს არ იშურებენ მეჩაიეები მ. თოდუა, კ. კირცხალია, ჯ. რაფავა, ნ. ცაგურია, ლ. შელია, ნ. თორია და სხვები. თითოეული მაქსიმალურად იყენებს სამუშაო დროს, იცავს ჩაის კრეფის აგროწესებს.

მიუხედავად ცალკეული ბრიგადის, ინდივიდის მონდომებისა, ჩაის კრეფის საქმეში ჯერ კიდევ აშკარაა ჩამორჩენა. მაისივნისში მოსაკრეფი იყო 357,5 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, დღემდე კი დამზადდა 324 ტონა ნედლეული. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მ[illegible]რე[illegible]ლია 164 ტონით ნაკლები ჩაის ფოთოლი.

ჩაის კრეფაზე მეთვალყურე დეპუტატებს, ბრიგადებს, რგოლებს ინდივიდებს უნდათ დაძლიონ ჩამორჩენა. პლანტაციებში უხვადაა საკრეფი ფოთოლი, ყოველდღე მზადდება 10 ტონაზე მეტი ნედლეული. ახლა მთავარია არ შევანელოთ ტემპი, გავაუმჯობესოთ ქართული ჩაის ხარისხი, შეუფერხებლად ჩავაბაროთ იგი მრეწველობას.

ბ. აბსანძე

## ახალი ალმანახი—ახალი სახელი

ამ დღეებში ქართველმა მკითხველებმა მიიღეს საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ სულ ახლახან დაარსებული ალმანახ „ენგურის“ (მთავარი რედაქტორი ნომადი ბართაია) პირველი ნომერი, რომელიც, როგორც ეს ხ. ბერულავას შესავალ წერილშია აღნიშნული, „ზუგდიდის რაიონთან ერთად თანაბრად ეკუთვნის სამეგრელოსა და სვანეთის ყველა რაიონს, უფრო ზუსტად „სრულიად საქართველოს“. ამჟამად ჩვენ არ ვაპირებთ ამ საინტერესო ალმანახის საგულდაგულო განხილვას. გვინდა მკითხველებს გავუზიაროთ შთაბეჭდილება ლამზირა ფირცხალავას აქ გამოქვეყნებული, სიახლით გაჯერებული ლექსების თაობაზე.

არ ვიცნობ ლამზირა ფირცხალავას, არ ვიცი სად მოღვაწეობს და რას აკეთებს, მაგრამ ალმანახ „ენგურში“ დაბეჭდილი მისი ლირიკული ლექსები რომ წავიკითხე, გაოცებული დავრჩი. პოეტი ქალის შინაგანი განცდები, მხატვრული ხედვის რაკურსები, მოულოდნელი, ცოცხალი შედარებები და მეტაფორები უდაოდ იმსახურებენ ყურადღებას. დავაკვირდეთ პოეტის ნათქვამ სტრიქონებს:

წუხელ სიზმარში მინდვრად,
მეძინა,
მეცვა ფოფინა ღრუბლის
ქათიბი...
გახურებული თივა მეყარა
შენი ნათიბი!

აქ ყოველი სიტყვა, ყოველი სტრიქონი და ლირიკული გმირის სულიერი განწყობილება მისადაგებულია. ეს სისადავე და უბრალოება პოეტურ ფასეულობასთანაა წილნაყარი. წავიკითხოთ მეორე ლირიკული ლექსი:

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალვადგინოთ ეროვნული ტრადიციები

# „ვითა ცხენსა შარა გრძელი"...

ზუგდიდის რაიონის მშრომელები ბევრჯერ დამტკბარან ცხენოსნური შეჯიბრებებით, რომელსაც სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" (ახლანდელი „შევარდენის") რაისაბჭო გასულ წლებში სისტემატურად აწყობდა. ცხენოსნობის მოყვარულნი დღესაც დიდი სიამოვნებით იხსენებენ შამგონის, რუხის, კახათის, ინგირის საგანგებოდ მოწყობილ იპოდრომებზე გამართულ დოღის სძიებებს. ბოლო დროს კი, სამწუხაროდ, მთლიანად დავიწყებას მიეცა მამა-პაპათა მიერ დამკვიდრებული სპორტის ისეთ სახეობებში შეჯიბრებები, როგორიცაა: ცხენბურთი, ისინდი, მარჯია, დოღი, მარულა და სხვა.

ცხენოსნური სპორტის აღდგენა-განვითარებას მიეძღვნა ამ დღეებში სპორტსაზოგადოება „შევარდენის" მიერ ჩატარებული თათბირ-სემინარი, სადაც მოწვეული იყვნენ რაიონის ცხენოსნობის სპეციალისტები, სოფლის საკრებულოთა ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტები. ამ შეკრებაზე გადაწყდა, რომ წლევანდელ სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარდეს სოფლის საკრებულოების პირველი რაიონული პირველობა ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში: იქვე დამტკიცდა მსაჯთა კოლეგია, შეჯიბრების დებულება, რომელიც დროულად გაეგზავნება საკრებულოებს. შეჯიბრების პროგრამაშია ცხენბურთი, ისინდი, მარჯია, დოღი 2000 და 4000 მეტრზე, მარულა 6000 და 8000 მეტრზე.

თათბირის მონაწილეებმა სასტიკად დაგმეს წარსული წლების მავნე პრაქტიკა, როდესაც სოფლის ზოგიერთი თავმომწონე ხელმძღვანელი ყულარისა და რუსეთის სხვადასხვა ცხენსაშენიდან სოფლის მშრომელთა ხარჯზე იძენდა ძვირად ღირებულ არაბულ და სუფთა სისხლის ინგლისურ ცხენებს და გამოყავდა ეროვნულ სახეობებში, რამაც დიდი დაღი დაასვა მეგრული ჯიშის ბედაურების გამრავლების საქმეს. რა თქმა უნდა, ისინი სისწრაფით ადგილობრივებს ჯაბნიდნენ, მაგრამ გამძლეობით ვერ ედრებოდნენ. აბა გავიხსენოთ სოფელ კოკის მხედრები მეგრული ჯიშის ცხენებით სისტემატურად როგორ უმკლავდებოდნენ არაბულ და ინგლისურ ცხენებზე ამხედრებულ ცხენოსნებს ცხენბურთსა და ისინდში, მარჯიაზე ხომ თქმაც ზედმეტია.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა უცილოდ გადაწყვიტეს, რათა ცხენოსნური შეჯიბრებები ყოველწლიურად გაიმართოს და მასში მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ მეგრული და თუშური ჯიშის ცხენებმა. აეკრძალათ ეროვნულ სახეობებში გამოსვლები არაბული და ინგლისური ჯიშის ცხენებს. მათი ცხენბურთსა და ისინდში გამოყვანა დამღუპველია. როგორც თავად ბედაურისათვის, ასევე არც თუ იშვიათად მხედრისთვისაც...

არ გვეეჭვება, რომ სოფლის საკრებულოები დროულად დასახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს ადგილებზე ჩვენი მამაპაპური ცხენებისა და თავიანთი მხედრების მოსამზადებლად, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საკრებულოების პირველ რაიონულ პირველობაში, რაც უდაოდ შეუწყობს ხელს ადგილობრივი ჯიშის ცხენების მომრავლებას, ეროვნული სპორტის განვითარებას.

გ. მეჟია,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი.

# ახალი ალმანახი—ახალი სახელი

(დასასრული)

ვხედავ: ტოტებში სით აჩქამდა,
გზაზე ბიჭუნა ნახირს მოდენის
და მირიადი შუქის ლაციცით
მოაქვს სამყარო ცრემლისოდენი.
არ იცის ბიჭმა გზაზე რა ხდება,
აქვეა მისი პატარა შუკა,
მოაქვს სამყარო
ცრემლისოდენი,
მოაქვს და მშვიდად სალამურს
უკრავს.

სამშობლოს სიყვარულის წარმოსახვა განრიდებულია ტრაფარეტებსა და შტამპებს. აქ მხოლოდ ქალური სინაზე და სისადავე, ლირიზმია ჩაღვრილი. „მე შენითა ვარ, მაინც მამულო! შან დალში შენი ლოცვა მიტირის, ახე გადავა ეს ერთი თოვაც, ატკაცუნდება ლექსი კვირტივით".

ნაღდი პოეტური ხილვაა — „შეთქვირებულა ფოთლები ლევის, სადაც ახლოა ალბათ ზაფხული". შეთქვირებული ზაფხულის დახატვის სურვილი თითქოსდა ფატალურია პოეტისათვის:

შემაძლებინე ეს დღე დავხატო,
ივისხა მკერდზე ნამი მძივებად,
თორემ წამოჰკრეფს მაისი
სხივებს,—
წავა..., მთებს მიღმა ჩაეძინება.

შთამბეჭდავია აკაციის ბედთან ლირიკული გმირის სულიერი თანაზიარობის ასეთი პოეტური წარმოსახვა:

ჩემო ნაღვლიანო მეგობარო,
ცამდე აფოფრილო აკაცია,
მოვლენ ერთგული ფუტკრები
და
მხრებზე ვარსკვლავებს
დაგაცრიან...
ეჰ, ჩემო ნაღვლიანო მეგობარო,
ცამდე აფოფრილო აკაცია.

პოეტის ლირიკული ხილვა („რა პატარაა წუთისოფელი, რა ძლიერ ვგავართ უმწეო ფოთლებს") უფრო და უფრო მუხტავს მკითხველის განწყობილებას: „და გროვდება სულშიც ღრუბლის ცრემლი, დასასრული მოთმინების არ ჩანს, მოაბოტებს ფოთოლ-ფოთოლ ქარი, მოაქვს მხრებით ტყის ქობა და ფარჩა". ანდა:

შეგრჩება რაღაცა გასამხელი,
რაღაც მწიფე და მოწეული,
ცაში იტირებენ ვარსკვლავები
ქარში დაირწევა ბროწეული.

ბოლო ლექსი („ტოკოკონა") შთამბეჭდავია თავისი სისადავითა და მოულოდნელი პოეტური გარდასახვებით, ლირიკული გმირის უფაქიზესი სულიერი წიაღსვლებითა და მინიშნებებით, მაგრამ ამ მცირე წერილში მის „განჩხრეკას" სჯობს თავად მკითხველმა მოიძიოს ალმანახ „ენგურის" პირველი ნომერი და თავისი თვალით წაიკითხოს ლამზირა ფირცხალავას ეს ლექსი.

აპოლონ ცანავა,
„ლიტერატურული საქართველო"
1991 წ. 5 ივლისი

წერილები რედაქციას

# „სანამ პავლე მოვიდოდა"...

ამ ბოლო დროს რედაქციაში შემოდის არაერთი წერილი, რომელთა ავტორები ძირითადად ის მოქალაქეები არიან, რომლებსაც ხელფასისა და პენსიების გარდა შემოსავლის სხვა წყარო არაფერი გააჩნიათ. დღევანდელმა რთულმა ეკონომიკურმა პირობებმა, ქვეყნის მასშტაბით შექმნილმა სიძნელეებმა, სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ფასების განუსაზღვრელი ოდენობით მომატებამ წელში გატეხა მაშვრალი კაცი. ასეთ დროს ბუნებრივია, მათზე გამაღიზიანებლად მოქმედებს სოკოსავით მომრავლებული კომერციული მაღაზიები და ფასების მხრივ იქ გამეფებული სრული განუკითხაობა.

დღეს იშვიათად მოძებნი მუშას თუ მოსამსახურეს, რომლის საშუალო ხელფასი თუ გამომუშავება 300-400 მანეთს აღემატებოდეს. კომერციულ მაღაზიებში კი უბრალო მოდური ფეხსაცმელი 1200-1300 მანეთი ფასობს.

საკითხავია როგორ მოიქცეს თუნდაც მცირერიცხოვანი ოჯახის უფროსი რომლის სამი ოთხი თვის ხელფასი ძლივს თუ ეყოფა ერთ ფეხსაცმელს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ ფეხსაცმლის გარდა ოჯახში ათასი სხვა რამეც ხომ არის საჭირო. ასეთი გულისტკივილია გამოხატული რედაქციის მისამართით გამოგზავნილ წერილებში, რომელთაგან ერთის ავტორია ჟურნალისტი კლარა ფაჩუაშვილი.

რედაქცია თავის მხრივ ამ წერილს მინაწერს არ უკეთებს. მკითხველს და ამ საქმეში ჩახედულ კომპეტენტურ პირებს ვთხოვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრება წერილში დასმული საკითხის ირგვლივ.

ეს შეკითხვა რა რიგ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მე მაინც მოვითხოვ გამცეთ დამაჯერებელი პასუხი.

მაინტერესებს რა განსხვავებაა დღევანდელ კომერსანტსა და ადრინდელ სპეკულანტს შორის?

შინაგან საქმეთა განყოფილებაში სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სპეცსამსახური იყო შექმნილი, რომელიც ქვეგანყოფილებად იწოდებოდა. ყოველწელ თხევევაში ეს ქვეგანყოფილება ყველა სპეკულანტს თუ ვერ ალაგმავდა, იმას მაინც ხომ ახწევდა რომ ისინი აღრიცხვაზე აეყვანა, საკუთარი მეთვალყურეობის ქვეშ მყოლოდა. მილიციის მუშაკებს ზეპირად შეეძლოთ ეპასუხნათ, რომელი სპეკულანტი რა სახის საქონლით ვაჭრობდა და რა ფასებში ყიდდა. ეს ფასები არც ჩვენთვის იყო ხელმიუწვდომელი. თითქმის ყველას შეგვეძლო გვესარგებლა სპეკულანტების მომსახურებით. შეიძლება მავანი და მავანი შემო[illegible]ს. მაშინ სხვა დრო იყო, მეტი [illegible] გვქონოდათ. სწორი ბრძანებაა. მაგრამ არც მაშინ იყო მაღაზიის თაროები უცხოური და სამამულო წარმოების საქონლით დიდად დამძიმებული და ჩაზნექილი. დღეს ვინმემ, რომ დამიწყოს იმის მტკიცება კომერციული მაღაზიების მომსახურება სჯობს სპეკულანტებთან ურთიერთობასო, ნამდვილად ვერ დავუჯერებ. ადრე სპეკულანტი იმპორტული წარმოების ფეხსაცმელს 200-250 მანეთად რომ ყიდდა, იგი დღეს კომერციულ მაღაზიებში 1200-1800 მანეთად ფასობს, იმპორტული წარმოების სიგარეტი სპეკულანტთან 5-6 მანეთი ღირდა. კომერციულ მაღაზიებში კი მას დღეს ცეცხლის ფასი ადევს—20-25 მანეთად იყიდება.

გთხოვთ ამიხსნათ რომელი უფრო საძრახისია. სპეკულანტი თუ კომერსანტი. მე თუ მკითხავთ არც პირველი [illegible] და არც მეორე. მაღაზიის თაროები ასე დაცარიელებული რომ არ იყოს და ქვეყანა ეკონომიკურად სულს რომ არ ღაფავდეს არც სპეკულანტთან გვექნებოდა საძებარი ჩვენთვის სასურველი საქონელი და არც კომერციულ მაღაზიებში. მაგრამ დღეს ვისთანაც უფრო შეღავათიან ფასებში შეიძლება დეფიციტური საქონლის შეძენა, ის უფრო მეტ სიმპატიას იმსახურებს მომხმარებლისაგან.

ვერც იმაში დამარწმუნებს ვინმე, რომ კომერციული მაღაზიის მესვეურებს საზღვარგარეთის ფირმებთან ქონდეთ კავშირი და იქიდან შემოქონდეთ საქონელი. ამ საქონლის გარკვეული აწილი ალბათ სავაჭრო ბაზებიდან და საწარმოებიდან მოდის. ამ საქმეში კონტროლისა და ზედამხედველობის უფლების მქონე სამსახურებმა ეს არხი უნდა გადაკეტონ იოლი გზით გამდიდრებას მოწყურებულ კომერსანტებს. და ყველა იმათ ვინც კიდევ უფრო გვირთულებს ისედაც გართულებულ ცხოვრებას.

ბევრი რამ საიდუმლოდ რჩება, მაგრამ ერთი რამ ცხადია კომერციული მაღაზიების ხშირი სტუმრები და მომმარაგებლები არიან უცხოეთის ქუჩებში მუდმივ ტურისტულ მოგზაურობაში მყოფი პირები, რომელთაც მთავარი საფიქრალი ფული და გამდიდრებაა.

ეკონომიკური კრიზისისა და საბაზრო ეკონომიკის ჩასახვის პირობებში კომერციის ასეთი სახით აღორძინება ვერავითარ სიკეთეს უქადის პატიოსანი მშრომელი კაცის მატერიალურ კეთილდღეობას. კომერცია უნდა განვითარდეს თანდათანობით, კანონზომიერად საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ხელშეკრულების დადებით, კომვოიაჟორსა და მყიდველს შორის ურთიერთ გაგებით, მჭიდრო კონტაქტებით. ეს კი კომერციული მაღაზიების მუშაკების მომსახურების დონის ამაღლებასა და მომხმარებლის დაკმაყოფილებას ნიშნავს.

და ბოლოს ერთი კითხვაც ვისთვის და რისთვის არის საჭირო ასე განუსაზღვრელი რაოდენობით კომერციული მაღაზიები ისეთ პატარა ქალაქში, როგორიც ზუგდიდია. ჩავყვეთ რუსთაველის ქუჩას ფუნიკულიორიდან კუჩხობონამდე, ქ. გამსახურდიას, (ყოფილი ლენინის ქუჩა) კიროვის, სოხუმის ქუჩებს, მაღაზიების რაოდენობას ხომ თვლა არა აქვს. სახელებიც შესაფერისი შეურჩევიათ. „ლატავრა", „ალბატროსტი" „ქარვასლა", „საპოვნელა", „მანჩო", „იზაბელა", „ხატია", „გვირილა", „ეთია", „ხამო", „ბაია", „ციცინათელა" და ა. შ.

ჭირდება კი ზუგდიდის მოსახლეობას ამდენი გამტყავებელი? ან რა გამართლება უნდა მოეძებნოს იმას, რომ ქუჩაზე ერთმანეთის გვერდით და მოპირდაპირედ ორი თუ სამი სამრეწველო მაღაზია ერთიდაიგივე საქონლით ვაჭრობდეს. გვინდა კი ასეთი უთვალავი რაოდენობით კომერციული მაღაზიები და მოაქვს თუ არა მას რაიმე სარგებლობა მოსახლეობისათვის ან სახელმწიფოსათვის.

კარგი იქნება თუ ამ წერილს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკითხებში კარგად ჩახედული, კომპეტენტური პიროვნება, ან შინაგან საქმეთა საქალაქო რაიონული განყოფილების მუშაკები გამოეხმაურებიან.

გვჯერა რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდგომ პერიოდში კომერციულ მაღაზიებში ფასები უფრო დაიხვეწება. ის ობიექტები, რომლებიც კონკურენციას ვერ გაუძლებენ დაიხურება და ფასები უფრო ხელმისაწვდომი გახდება. ფასების შემცირება სხვა ფაქტორებთან ერთად პროდუქციის სიუხვეზეა დამოკიდებული. სიუხვე რომ შევქმნათ თავაუღებელი, ხელებდაკაპიწებული ბეჯითი შრომაა საჭირო. დღეს კი გაცილებით მეტია იმ ადამიანთა რიცხვი, რომელიც მუშას, გლეხს მოუწოდებს იმუშაოს ბეჯითად, შექმნას რაც შეიძლება მეტი პროდუქცია, დაახვავოს დოვლათი. ჩვენდა საბედნიეროდ ქვეყნის მასწავლებელთა და დამრიგებელთა რიცხვი არ გვაკლია, პროდუქციის მწარმოებელთა რიცხვი კი დღითიდღე კლებულობს. ასეთ პირობებში სიუხვისა რა მოგახსენოთ, სამრეწველო თუ სასურსათო საქონელი დღითი დღე უფრო დეფიციტი ხდება. ვიდრე ფონს გავალთ რა უნდა ქნას სუფთა ხელფასის იმედზე მყოფმა მუშა მოსამსახურემ, გლეხმა.

რა გამოვიდა. პავლეს მოსვლამდე [illegible] თუ ტყავი [illegible]. ფიქრობს დღეს ამაზე ვინმე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტაქტები

# თურქი მწვანეები ზუგდიდში

ამ დღეებში ზუგდიდში სტუმრად იმყოფებოდნენ თურქეთის მწვანეთა მოძრაობის პრეზიდენტი, ბატონი ახმედ ფილმერი, ამ მოძრაობის წარმომადგენლები —ქალბატონები მანდან აქიღლზი და ატილა ქუთფილმაზი. სტუმრებს მასპინძლობდა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაცია, რომლის შტაბ-ბინაში 16 ივლისს გაიმართა გულთბილი, საქმიანი და ორივე მხარისათვის მეტად სასარგებლო საუბარი ვარემოს დაცვის საჭირბოროტო საკითხებზე.

მეზობელი ქვეყნის მწვანეთა წარმომადგენლებს რეგიონის ეკოლოგიური პრობლემები, მისი გადაწყვეტის პერსპექტივები გააცნო მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის . თავმჯდომარემ ბატონმა ბესან გუნავამ. საუბარში მონაწილეობდნენ და საქართველოსა და თურქეთის მწვანეების ურთიერთთანამშრომლობის, სამეცნიერო თუ კომერციული შესაძლო კონტაქტების კონკრეტულ საკითხებს შეეხნენ ბატონები, ზუგდიდის ეკოლოგიური ცენტრის დირექტორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გია ესართია, ქალაქის გამწვანების კანტორის უფროსი კარლო ჩოკორაია და სხვები.

საინტერესო, პრაქტიკული მნიშვნელობის წინადადებები წამოაყენეს თურქმა მწვანეებმა. შეხვედრა-დიალოგში ნათლად გამოიკვეთა ორი ქვეყნის—საქართველოსა და თურქეთის მწვანეთა შორის გადებული მეგობრობის ხიდის კონტურები, მისწრაფება—ილვაწონ დედამიწის სიჯანსაღისათვის.

შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს ბოტანიკური ბაღი, მუზეუმი, იყვნენ ზოგიერთ საწარმოსა და საზოგადოებრივ მეურნეობაში, მოინახულეს ენგურჰესის წყალსაცავი. თურქი მწვანეები ზუგდიდიდან სოხუმს გაემგზავრნენ.

# გვიმრავლოს...

„საკმარისია, საკმარისია"... აწყვეტინებენ ღრმაშინაარსიან თხრობას პროფესორ-მასწავლებლები თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტს ნიკოლოზ ჯემალის ძე სართანიას.

სიდარბაისლესა და ნიჭთან ერთად, ნიკას, სწავლისადმი დიდ სიყვარულს უწინასწარმეტყველებდნენ ოდიშის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებლებიც. და აი, ნოყიერ ნიადაგში ჩათესილმა ნერგმაც იხარა— „ფრიადებით" დამშვენებული, პირველი კურსის დახურვის მაუწყებელი „ჩათვლის წიგნაკით" დაუბრუნდა მშობლებს ბეჯითი სტუდენტი.

მისი ოცნებაა სწავლა განაგრძოს გერმანიაში იენის უნივერსიტეტში. ღმერთმა აუხდინოს ნიჭიერ სტუდენტს მოკრძალებული ოცნება, ჩვენ კი, გვიმრავლოს უფალმა ნიკასნაირი ახალგაზრდობა, რამეთუ ისინი ჰაერივით სჭირდება მომავალ საქართველოს.

ფირუზა ქოჩუა,
ოდიშის პირველი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში.

# მისი ღვაწლი დაუვიწყარია

აკაკი ჭანტურია 1921 წლის აპრილიდან ჩაუდგა სათავეში მუზეუმს. რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი თვითონ იყო.

ბრძოლა მუზეუმის გარშემო მისი შექმნის პირველი დღიდან- დარწმუნებული, რომ არამცთუ დადიანების ყოფილ სასახლეში, არამედ ჩვენი გლეხობის ქოხებშიაც ვერ დაეტევა და ბინა სხვა მაზრაში უნდა ვეძიოთ".

მიუხედავად ამისა, გეოლოგ- მუზეუმს. იგი არქეოლოგიური მასალების მოპოვებას ლამით ჭრაქზეც განაგრძობდა.

დაუღალავი მეცნიერის უდიდესი დამსახურებაა ზუგდიდის მუზეუმის დღევანდელი დირე-

30 გაჩაღდა.

1924 წლის გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე დაიბეჭდა ქ. ხომერიკის წერილი „ზუგდიდის მუზეუმი", სადაც ავტორი გამოდიოდა წინადადებით: „სადაც ეხლა მუზეუმი არის, ყოფილი დადიანის სასახლე, სასურველია მოეწყოს ზუგდიდის მაზრის გლეხთა სასახლე. წინათ ხსენებულ სასახლეში ბუნაგობდნენ და განცხრომას ეძლეოდნენ ხალხის მტრები, ამიტომ უფრო სამართლიანია და უპრიანია ეხლა აქ მოეწყოს გლეხთა სასახლე.

საგვარეულო სერვისი კი გაიყიდოს და იქიდან აღებული ფული მოხმარდეს სასახლის მოწყობის საქმეს".

ქ. ხომერიკის წინადადებას მომხრეებიც აღმოუჩნდნენ და მოწინააღმდეგეებიც.

ამ წინადადების კატეგორიული წინააღმდეგი გამოვიდა ისაკი ჟვანია. იგი გაზეთ „კომუნისტში" წერდა, რომ ქ. ხომერიკის წინადადება „არც პრაქტიკულია და არც ტაქტიკური"...

ერთ-ერთი პარტიული მუშაკი კი ასე წერდა: „და... კიდევ განაგრძო მუზეუმის გამგემ, ევროპულად განათლებულმა ადამიანმა მოქ. ჭანტურიამ მაზრაში ასეთი ნივთების მოგროვება საისტორიო მასალის სახით, მაშინ მე ღრმად ვარ

არქეოლოგი აკ. ჭანტურია გულმოდგინედ განაგრძობდა დაწყებულ საქმეს. მარტო თავადაზნაურთა ოჯახებიდან და ეკლესია-მონასტრებიდან მოტანილი ნივთები მუზეუმს ვერ დააკმაყოფილებდა. მან დაიწყო მოსახლეობიდან ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება.

მუზეუმის შემდგომი ბედი, მისი კოლექციების ზრდა, ექსპონატების გამდიდრება, ფონდების შევსება მჭიდროდ იყო დაკავშირებული მისი დირექტორის, მეცნიერ-მუშაკის აკაკი ჭანტურიას გეგმაშეწონილ ენერგიულ მოღვაწეობასთან.

0 წელი უხელმძღვანელა მან

ბულების შთამომავლობისათვის შენარჩუნების საშვილიშვილო საქმე.

აი, რას წერდა გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება" ა. ჭანტურიას გარდაცვალების გამო:

„ა. ჭანტურია იყო მოკრძალებული, გულისხმიერი, თავისი საქმისადმი მეტად ერთგული და მომთხოვნი ადამიანი, თავისი დაუცხრომელი ცხოვრება მან მოახმარა ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის კვლევის, დაცვის, აღმოჩენისა და აღდგენის საქმეს. მან მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა, რისთვისაც მის ღვაწლს არ დაივიწყებს მადლიერი ხალხი".

რ. ქორთუა.

რედაქციისაგან: ამ პუბლიკაციის წაკითხვისას შეიძლება ზოგიერთმა მკითხველმა გვისაყვედუროს. რა საჭირო იყო 1924 წელს გაზეთ „კომუნისტში" დაბეჭდილი ვინმე ქ. ხომერიკის წერილიდან იმ ადგილის ციტირება, სადაც იგი რჩევას აძლევს მაზრის ხელმძღვანელობას დადიანისეულ სასახლეში მოეწყოს გლეხთა სასახლე, ხოლო მათი საგვარეულო სერვიზი გაიყიდოს და მოხმარდეს გლეხთა სასახლის კეთილმოწყობის საქმესო.

სწორედ რომ საჭირო იყო ამის ციტირება. დღევანდელმა თაობამ უნდა იცოდეს როგორი დაბალი აზროვნების, გონებაჩლუნგი ადამიანების წინააღმდეგობას აწყდებოდა მუზეუმის დამაარსებელი მეცნიერი.

კიდევ კარგი, რომ მაზრის მაშინდელი ხელმძღვანელობა არ აჰყვა ხომერიკის ცდუნებას, თორემ მარტო აკაკი ჭანტურია რას გახდებოდა და დღეს ზუგდიდს არ ექნებოდა კულტურის ასეთი კერა —როგორიც ჩვენი დიდებული მუზეუმია.

# დაზღვეულთა და დამზღვეველთა საყურადღებოდ!

## დაზღვევის შესატანების გადაფასებისა და კომპენსაციის თანხების გაცემის წესის შესახებ

იმ მოქალაქეებს, რომლებსაც გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები სიცოცხლის გრძელვადიან, ბავშვთა, საქორწინო და დამატებითი პენსიის დაზღვევის სახეობებში საკომპენსაციო თანხა განესაზღვრებათ 1991 წლის 1 მარტამდე გადახდილი დაზღვევის შესატანების საერთო თანხის 40 პროცენტის ოდენობით, სადაც შედის:

ა) ბავშვთა დაზღვევის ხელშეკრულებები, რომლებიც მთლიანადაა დაფარული და შესატანები დადებულია შესატანების შემცირებულ პერიოდში გადახდით;

ბ) საქორწინო დაზღვევის ის ხელშეკრულებები, რომლებითაც შეწყვეტილია შესატანების გადახდა დამზღვევლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ან რომელთა მიხედვით უკვე დამთავრდა შესატანების გადახდა, მაგრამ არ დამდგარა სადაზღვევო თანხის გაცემის ვადა;

გ) მოქმედი და პროლონგირებული (ვადაგაგრძელებული) ხელშეკრულებები მოქალაქის გარდაცვალების ან შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში.

დაზღვევის შესატანებზე კომპენსირება წარმოებს 1991 წლის 1 მარტამდე მოქმედ პირადი დაზღვევის ყველა გრძელვადიან ხელშეკრულებებზე, აგრეთვე აღნიშნულ თარიღამდე დამთავრებულ დაზღვევის იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა მიხედვით სადაზღვევო თანხები არ გაცემულა და დაზღვევის იმ ხელშეკრულებებზე, რომლებიც შეწყვეტილია დამაზღვევლის პირველ და მეორე ჯგუფის ინვალიდობის მიკუთვნებასთან დაკავშირებით, რომელთა შესატანები არ არის დაბრუნებული.

1991 წლის 31 მარტსა და 30 აპრილს დამთავრებულ იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა მიხედვითაც დაზღვეულებმა უკვე მიიღეს სადაზღვევო თანხები, კომპენსაციის დარიცხვა წარმოებს ანალოგიური წესით.

იმ შემთხვევაში, თუ დარიცხული კომპენსაციის თანხა არ აღემატება 200 მანეთს ან დაზღვევის ხელშეკრულების ვადა მთავრდება 1994 წლის 1 მარტის შემდეგ, მაშინ მისი გაცემა მოხდება ერთდროულად სადაზღვევო თანხის გაცემისას გრძელვადიანი ხელშეკრულებების ვადის დამთავრების შემდეგ, ხოლო დამაზღვევლის გარდაცვალების შემთხვევაში პირველი (ან მორიგი), თვიური პენსიის გაცემისას, აგრეთვე შესატანების დაბრუნებისას დაზღვევის იმ ხელშეკრულებებზე, რომლებიც ვადამდეა შეწყვეტილი დამაზღვევლის პირველ ან მეორე ჯგუფის ინვალიდობის მიკუთვნებასთან დაკავშირებით თანხის გაცემა იწარმოებს არაუგვიანეს 1991 წლის 1 აგვისტოსა.

200 მანეთზე მეტი საკომპენსაციო თანხების გაცემა იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა მოქმედების ვადა მთავრდება 1994 წლის 28 თებერვლამდე, წარმოებს 1994 წლის 1 მარტიდან მათი წლიური 7 პროცენტის დამატებით, ხოლო არასრული წლის ყოველ იმ თვეზე, რომელიც გასულია დაზღვევის ხელშეკრულების დამთავრების მომენტიდან 1994 წლის 1 მარტამდე—0,6 პროცენტით.

დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში კომპენსაცია 200 მანეთამდე ოდენობით გაიცემა სადაზღვევო თანხის გაცემასთან ან შესატანების დაბრუნებასთან ერთად, ხოლო იმ ხელშეკრულებებზე, რომლებზეც დარიცხულია 200 მანეთზე მეტი კომპენსაცია სადაზღვევო თანხათა მიმღებად დანიშნულ პირებზე გაიცემა დადგენილი ფორმის ცნობები და საკომპენსაციო თანხების გაცემა იწარმოებს 1994 წლის 1 მარტიდან მათი წლიური 7 პროცენტის დამატებით, ყოველ სრულ წელიწადზე და არასრული წლის ყოველ იმ თვეზე, რომელიც გასულია დაზღვევის ხელშეკრულების დამთავრების მომენტიდან 1994 წლის 1 მარტამდე —0,6 პროცენტით;

იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მისაღებად 1994 წლის მარტში მიმართა არა იმ პირმა, ვის სახელზეც იყო გაფორმებული ცნობა, კომპენსაციის გაცემა იწარმოებს მემკვიდრეზე, რომელიც წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მემკვიდრეობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

1991 წლის მარტის შემდეგ საკომპენსაციო თანხები არ გაიცემა გამოხასყიდი თანხების მიღებისას დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში (მიზეზისაგან დამოუკიდებლად).

ამასთან დამატებით გაცნობებთ, რომ ამჟამად რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციებში მიმდინარეობს დაზღვეულ მოქალაქეთა პირადი ანგარიშების გადაფასება და საკომპენსაციო თანხების დარიცხვა, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ დაწვრილებითი ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე.

სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები მყარ ეკონომიკურ გარანტიას იძლევიან სადაზღვევო ხელშეკრულებით განპირობებული თანხების გაცემაზე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის გამგეობა.

## ექიმის საუბარი

# მუცლის მწვავე ქირურგიული დაავადებანი ანუ „მწვავე მუცელი“

„მწვავე მუცელი“ პირობითი მცნებაა და შეუძლია გამოიწვიოს მუცლის ღრუს ყველა ორგანოს მწვავე დაავადებამ ან დაზიანებამ. ამ ორგანოების დაავადებათა დასაწყისი და სიმპტომები იმდენად მსგავსია ერთმანეთისა, რომ ძნელი გასარჩევია, თუ რომელმა მათგანმა გამოიწვია „მწვავე მუცლის“ კლინიკური სურათი. „მწვავე მუცელი“ არაა საბოლოოდ დიაგნოზი, იგი ნიშნავს მხოლოდ მუცლის მწვავე ქირურგიულ დაავადებას ჯერ კიდევ გაურკვეველი დიაგნოზით. ტერმინი „მწვავე მუცელი“ მოწოდებულია ამერიკელი სპეციალისტების მიერ. „მწვავე მუცელი“ არის მუცლის ღრუში დაწყებული ან მიმდინარე ანთებითი პროცესის სიგნალი, უბედურების მომასწავებელი სიგნალი, რომელიც საგანგაშო მდგომარეობაზე მიუთითებს და მოითხოვს ავადმყოფის დაუყოვნებლივ ჰოსპიტალიზაციას. ზუსტი დიაგნოზი დადგინდება ქირურგიულ განყოფილებაში და საჭიროების შემთხვევაში დროულად ჩატარდება ოპერაცია.

„მწვავე მუცლის“ კლინიკური სურათი პირობადებულია შემდგომი დაავადებებით: მწვავე აპენდიციტით, მწვავე ქოლეცისტიტით, მწვავე პერიტონიტით, მწვავე პანკრეატიტით, მწვავე პანკრეატოქოლეცისტიტით, მწვავე ჩირქოვანი პერიტონიტით, ჩაჭედილი თიაქრით, ნაწლავთა მწვავე გაუვალობით, მუცლის ღრუში შინაგანი სისხლდენით, საშვილოსნოს გარეთა ორსულობით, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის პერფორაციით და ზოგიერთი სხვა დაავადებებით.

„მწვავე მუცლის“ დროს წამყვანი ნიშანია ტკივილი, რომელიც დამახასიათებელია მუცლის ღრუს ყველა ორგანოს ანთებისა და დაზიანებისათვის. ცნობილია, რომ ტკივილი საუკეთესო სადიაგნოსტიკო სიმპტომია, იგი აფრთხილებს ავადმყოფს დროულად მიმართოს ექიმს, დაადგინოს მისი გამომწვევი მიზეზი და თავიდან აიცილოს მოსალოდნელი საშიშროება. ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ ტკივილი ორგანიზმის „დარაჯი ძაღლიაო“, რომელიც იცავს პატრონის უსაფრთხოებას, ამ შემთხვევაში ტკივილი, მართლაც ავადმყოფის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას, თუმცა ძლიერ შეტევითი ხასიათის ტკივილს შეუძლია გამოიწვიოს მძიმე შოკი და ზოგჯერ შეიძლება საბედისწეროც აღმოჩნდეს. ტკივილი ისევე კლავს ავადმყოფს, როგორც სისხლდენა (დიუპუიტრენი). ამ სიმპტომს წარმატებით იყენებენ ექიმები თავიანთ პრაქტიკულ მოღვაწეობაში, მაგრამ სწრაფადვე სპობენ მას, რადგანაც იციან, რომ „ტკივილის მოსპობა ღვთაებრივი საქმეა“ (ჰიპოკრატე) და იცავენ ავადმყოფს მისი მავნე მოქმედებისაგან.

„მწვავე მუცლის“ დროს ავადმყოფი უჩივის მოულოდნელ, მწვავე, შეტევითი ხასიათის ტკივილს, რომელიც ლოკალურია ან გავრცელებული მთელ მუცელზე. ტკივილი ზოგჯერ მკვეთრადაა გამოხატული, აუტანელია და ავადმყოფს შოკის მდგომარეობაში აგდებს. აღინიშნება მუცლის კედლის კუნთების ლოკალური ან განფენილი დაჭიმულობა და იგი ფიცარივით მაგარია. განავლისა და გაზების გამოყოფა შეწყვეტილია. ავადმყოფი მოუსვენარია, სახე დაფარული აქვს ცივი წებოვანი ოფლით, კანი ცივი და უფერულია, თვალები ჩაცვენილი. მაჯა სუსტი ავსებისა და ხშირია. არაიშვიათად აღინიშნება გულის რევა, პირღებინება, სლოკინი, ტემპერატურის მომატება.

ამ ნიშნების მიხედვით ავადმყოფს შეუძლია ეჭვი მიიტანოს „მწვავე მუცელზე“, დაუყოვნებლივ მიმართოს უბნის ექიმს ან უკეთესია გამოიძახოს სასწრაფო დახმარების ექიმი, რომელიც გადაიყვანს მას საავადმყოფოში და მოათავსებს ქირურგიულ განყოფილებაში (პროფილის მიხედვით). აღნიშნულ ნიშნებს ზოგიერთი ავადმყოფი არ აქცევს სერიოზულ ყურადღებას, ცდილობს მოიცადოს, თვით იმკურნალოს სხვადასხვა ოჯახური საშუალებებით, რის გამოც დაავადება მძიმდება, საერთო მდგომარეობა უარესდება, საშიშროება მატულობს და დაგვიანებული მკურნალობა შეიძლება სიკვდილით დამთავრდეს. სამწუხაროდ არიან ისეთი გულუბრყვილო ავადმყოფებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ „როგორც ამტკივდა, ისე დამიწყნარდებაო“. ეს უდიდესი შეცდომაა. „მწვავე მუცლის“ დროს წუთები და საათები სწყვეტენ ავადმყოფის ბედს. ჩვენმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ავადმყოფების დაგვიანებული მომართვა სამედიცინო დახმარებისათვის პირობადებულია, არა იმდენად მათი [illegible] დამოკიდებულებით საკუთარი დაავადებისადმი, რამდენადაც „მწვავე მუცლის“ კლინიკური ნიშნების უცოდინარობით, ავადმყოფები არ იცნობენ მუცლის ღრუს ორგანოების მწვავე ანთებისა და დაზიანებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და იმ საშიშროებას, რომელიც ამ დაავადებებს შეიძლება მოჰყვეს. ცნობილია, რომ თვითმკურნალობა და გაუმართლებელი მოცდის ტაქტიკა დანაშაულია და მეტად საშიში.

„მწვავე მუცლის“ დიაგნოსტიკასა და პროფილაქტიკაში მოსახლეობის ცოდნის ამაღლება სადღეისო მოთხოვნილებაა.

ამიტომ ჩვენ აუცილებლად ჩავთვალეთ მკითხველისათვის, ფრიად მოკლედ, გაგვეცნო ყველაზე გავრცელებული მუცლის ღრუს ორგანოების მწვავე ანთებისა და დაზიანების წამყვანი კლინიკური სიმპტომები, მათი მწვავე და მოულოდნელი დასაწყისი, გართულებანი, პროფილაქტიკა და მკურნალობა.

გ. ცანავა,
პროფესორი.

რედაქტორი
ბ. შანტურია

# მივხედოთ წყალსაწრეტ არხებს!

საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ყველა ერთმანეთის გვერდით მყოფი მოსახლე თანაბარ ყურადღებას არ უთმობს წყალსაწრეტ არხებს, პირიქით, გადახიდავს მას და ეზოდან მიშვებული ნარეცხი თუ ნახმარი გაჭუჭყიანებული წყალი მიედინება შუა ქუჩაში.

ოდითგან გეგეჭკორის ქუჩას გაიჩნდა წალსაცავი არხები და მასზე დიდძალი თანხა და ენერგიაც იქნა დახარჯული, მაგრამ სადღეისოდ ის მოშლილია და წყალი მოსახლეთა ეზოებში გუბდება. ჭარბი ტენი აზიანებს ნარგაობას, მათი ნაწილი ხმება.

მივხედოთ წყალსაწრეტ არხებს.

ბ. მაქაცარია,
პენსიონერი.

# დახურულად ჩაითვალოს

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტის 1991 წლის 9 ივლისის განკარგულებით დახურულად ჩაითვალოს მაცხოვრის კარის, ქითაწყარის, ნათუთუმეს, ტოლსტოის ქუჩაზე მდებარე სასაფლაოები და შეწყდეს სასაფლაო მიწის ნაკვეთების შემდგომი გამოყოფა.

## ქალაქ ზუგდიდის და ზუგდიდის რაიონის წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობა-მეურნეობების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის ინვალიდთა ასოციაციის სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაცია მოგმართავთ თხოვნით, რომ ინვალიდთა უკეთ მომსახურების მიზნით, იმ ინვალიდების, რომლებიც წლობით მწოლიარე მდგომარეობაში არიან და ვერ დგებიან ფეხზე: წამლების, პროდუქტების და სხვა საგნების ადგილზე მისატანად გვესაჭიროება ტრანსპორტი: უაზი, რაფი, ვოლგა, მოსკვიჩი, ვილისი ან სატვირთო თვითმცლელი ზილი. ამორტიზირებულ და ნახმარ მანქანებს ჩვენვე შევაკეთებთ და გამოვიყენებთ.

გთხოვთ გამოიჩინოთ ქველმოქმედება და შეღავათიან ფასებში ან უსასყიდლოდ დაგვითმოთ ზემოთ აღნიშნული რომელიმე მანქანა.

ველით თქვენს დახმარებას.

მისამართი: გორკის ქ. №28, ტელეფონი 2—37—97.
ინვალიდთა ასოციაციის ადმინისტრაცია.

მეუღლე ბაბუცა კეზუა, დედა თამარა, შვილები ირინა, დიმიტრი შალაგანიძეები, და ნანული სიძე მურთაზ როგავა, შვილიშვილები ნიკა, ია, ნათია როგავები, ცოლისდები: ქუქა, ნაზია, ცოლისძმა სერიოჟა კეზუები, ქვისლი აპოლონ წურწუმია ოჯახებით იუწყებიან

ვასილ (ვასიკო) ვახტანგის ძე შალაგანიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26, 27 ივლისს. დაკრძალვა 28 ივლისს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება გეგეჭკორის ქ. №3 ბინა 35-დან.

დედა თამარა, მეუღლე ბაბუცა, შვილები: ნათელა, მერი, აკაკი, ნაზო ქექია, დები: ლუშიკო, კუკუშა, ციური. ძმა ჯანიკო, რძლები: თამილა ფიფია, ციცი, კლარა, ნონა, სიძეები: რეზო მიქავა, კახა გაბელია, გივი ყორშია, დეიდა ვარო, შვილიშვილები: ალიკა ბოკუჩავა, ემა, იმზარი, ლაშა მიქავები, დისშვილები: თინა, ანზორი ქარაიები, კახა, ზვიადი ბერულავები, ძმისშვილები: გულადი, იამზე, მადონა ბოკუჩავები, ბიცოლა მიმია, ბიძაშვილები: გული, ტარიელი, ლიანა, ავთო, რევო, გენო, ქოქოშა, ლამარა, ნანული, ვალენტი ბოკუჩავები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

კაკო პლატონის ძე ბოკუჩავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24 ივლისს. დაკრძალვა 25 ივლისს განმუხურში.

მეუღლე პისტი, შვილი გია, რძალი მედიკო. დები ვერა, ნორა, დისშვილები ცვანტია, ვარდო, ოთარი ბერიშვილები, ნათელა, გოგონა, ბონო, გენო, თალიკო, ნოდარი დაგარგულიები, ბელა, გურამი, მზია იმნაძეები, ძმისშვილები გიგლა, მერი, ქვაჩია, ჯენია ბარაბაძეები ოჯახებით და ახლო ნათესავებით იუწყებიან

ვასო სანდროს ძე ბარაბაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24 ივლისს. გამოსვენება 25 ივლისს ქ. ზუგდიდი ლერმონტოვის ქ. 79-დან. დაკრძალვა სოფელ ურთაში.

დედა თამარი, მეუღლე ვიოლეტა, შვილები: ბადრი, ბესიკი, რძლები: ლალი, ირინა, დები: ზუტა, გოგონა, ლუიზა, ძმები: გოდერძი, აბელი, რძლები: ლონდა, ნელი, ეთერი, სიძეები ჯუმბერ პაპასკირი, კონსტანტინე აგაჯანოვი, შვილიშვილები: ვიოლეტა, დიანა, ძმისშვილები ლიანა, დიანა, თამაზი, ვახტანგი, ირაკლი, ქრისტინე, გიგა, ანჟელა, გია, დისშვილი ირაკლი, მეზობლები: ნელი, ავთანდილ ჭანტურიები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ბორის (ბუხუტი) თადეოზის ძე შურღაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24 ივლისს 7 საათზე. დაკრძალვა 25 ივლისს 6 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას ქ. 86 (ყოფილი ლენინის ქუჩა).

დედა ზაირა, მამა ზაური, ძმა რაული, ბებიები: ნაზო, ვარდიშა, მამიდა მიმოზა, ბიძები ნუგზარი, რევაზი, ემზარი გუგუჩიები, რამიკო, პერიკო, მეტვარი გაბელიები, ზურაბი ჯანჯარია, ავთო ნარმანია, ბონდო გუგუჩია, დეიდები: ლუარა, ფრიდა გაბელიები, ბიცოლები: ნონა ჯანაშია, დოდო პერტაია, ნანა ნარუშვილი, კლარა პატარაია, ჯული წურწუმია, ლუარა სიჭინავა, ნელი კობახიძე, ბიძაშვილები: სოფიკო, ირაკლი, სულხანი, ირინა, მელისი, თამაზი, ხალიანა, ელისო, ზვიადი, ინგა, ემზარი, ირა, ლანა, ნინო, ლადო, მამიდაშვილები: ფატიმა, პაპუნა, დეიდაშვილი ბაკური, ახლო ნათესავებით იუწყებიან

თამაზ ზაურის ძე გუგუჩიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25, 26 ივლისს. დაკრძალვა 27 ივლისს სოფ. კახათში.

№16 სპეციალიზირებული მოძრავი მექანიზირებული კოლონის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს თანამშრომელს რევაზი ჯღარკავას მამის

ვანიჩკა ბიქტორის ძე ჯღარკავას

გარდაცვალების გამო.

შვილი ვალიკო, ძმა კოტე, დები: ნელი, რუსუდანი, შვილიშვილი ირმა, რძლები ატონკა არახამია, ლილი ბებია, მარინა გუგუჩია, ძმისშვილი რობიკო, დისშვილები: ტანტული, სოსო, ბონდო, ინეზა, გურამი, ემზარი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

ტრიფონ დავითის ძე ქირიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25, 26 ივლისს. დაკრძალვა 27 ივლისს სოფ. ინგირში. გამოსვენება ვაჟა ფშაველას 11.

შვილები: ზაირა, ჟოზე, ლამზირა, როლანდი, ზური, დები: ვენერა, ივლიტა, ნათელა, სიძეები ვალიკო ჩიტაია, ჟორა ფაჟავა, ხუტა ფაცაცია, ლევთერ ლატარია, ბონო ნაჭყებია, რძლები: თამილა ფანკულაია, ინეზა სურმავა, მულები: ვარო აკობია, გული შულაია, შვილიშვილები, დისშვილები, შვილიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

ფუნა იასონის ასულ კუკავა-ლოგუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26, 27 ივლისს, დაკრძალვა 28 ივლისს სოფ. ახალკახათში.

დედა სონია, მეუღლე ემა კოხრეიძე, შვილები: გოჩა, ბესიკი, ადამური, გელა, შვილიშვილი სოსო, და ჟუნა, ძმები: ლუბური, კემე, მეთოდი, რძლები ირმა, ლამარა, ჯენერა, ზინა, სიძე ჭიჭიკო კაკულია, მამიდა ვერა, დეიდები: შუშა, ოლგა, ბიძია ლულუნი შენგელაია, მეზობლები მზია, სერგო მალიშავები, დისშვილები: მზევი, მიმოზა, მადონა, დოდო, ფრიდონი, ძმისშვილები: იური, ლიანა, ხვიჩა, ნონა, დემური, თამაზი, ფატიმა, ლუდა, ოლიკა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

რეზო ადამურის ძე დაგარგულიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26 ივლისს, გამოსვენება 27 ივლისს 18 საათზე. ზუგდიდი, ერევნის ქ. 10-დან. დაკრძალვა სოფელ ურთაში.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილებისა 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედ[illegible] 2-47-00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-28-07, ტირაჟი 8000 შეკ. №2977